

2016 წლის შეჯამება

მომართვიანობა

ენერგომბუდსმენის აპარატში მომართვიანობის მაჩვენებელი კოლოსალურად იზრდება. სტატისტიკის მიხედვით, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით ის დაახლოებით 6-ჯერ მეტია. ეს მაჩვენებელი, ერთის მხრივ, მოქალაქეთა სამომხმარებლო ცოდნის ამაღლებაზე, მეორე მხრივ, კი სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიგვანიშნებს.

2016წელს დარეგისტრირდა - 4680 განცხადება

კონსულტაციებისთვის მოგვმართა - 9108 მოქალაქემ

ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელში მოგვმართა - 1965 მოქალაქემ

განცხადებათა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა კომპანიების მიხედვით

- სს „თელასი“ - 1171
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ - 286
- სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ - 442
- შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ - 173
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ - 97
- სს „საქორორგაზი“ – 13
- შპს „ვისოლ-გაზი“ - 6
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ - 1216
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ – 60
- შპს „მცხეთის წყალი“ – 310
- შპს „რუსთავის წყალი“ – 896
- შპს „ბათუმის წყალი“ - 10

სექტორის მიხედვით

წყალმომარაგება-2492

ელექტროენერგეტიკა - 1899

ბუნებრივი გაზი - 289

ელექტროენერგეტიკის სექტორში გადაუჭრელ პრობლემა რჩება მოძველებული ქსელები, არასტაბილური ძაბვა, მომსახურების ხშირი შეწყვეტა რეგიონებში. აგრეთვე,

კვლავაც აქტუალურია სამი და მეტი წლის წინ კომპანიის მიმართ წარმოქმნილი ვალეები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ასახული იყო მომხმარებელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე. ამ პრობლემამ თავი იჩინა ჯერ კიდევ 2014 წელს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სერიოზული წინსვლა გვაქვს, ვინაიდან მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი, საზოგადოებრივი დამცველის დიდ ძალისხმევით, გათავისუფლდა ამ ვალდებულებისგან.

წყალმომარაგების სექტორი ლიდერობს მომხმარებელთა საჩივრების მიხედვით. ისევე როგორც ელექტროენერგეტიკაში ძირითად პრობლემად რჩება გასულ წლებში დაგროვილი დავალიანება, რომელზეც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვრცელდება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ასეთი განცხადებები განსაკუთრებით მასობრივად დაფიქსირდა, შპს „რუსთავის წყლის“ მისამართით. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“, ასევე შპს „მცხეთის წყლისა“ მიმართ ამ მხრივ შედეგი ძალიან დიდი მომხმარებელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ თბილისის მასშტაბით მრავალი საჩივარი დაფიქსირდა კომპანიის არასათანადო მომსახურებაზე, რაც გამოწვეული იყო მთელი წლის განმავლობაში მომსახურების ხშირი შეწყვეტით.

ბუნებრივი გაზის სექტორში ძირითადი დავის საგანი იყო ახალი მომხმარებლის დროული მიერთება ბუნებრივი გაზის ქსელზე და აღრიცხვიანობასთან დაკავშირებული დავები.

რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები

2016 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურიდან კომპანიების მისამართით გაიგზავნა 4004 რეკომენდაცია, ხოლო სემეკს მიემართეთ 854 შუამდგომლობით.

საზოგადოებრივი დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე კომპანიების მიერ ჩამოწერილმა თანხამ 2016 წლის განმავლობაში 1 391 622 ლარი შეადგინა.

ხოლო სემეკის საჯარო სხდომებზე ჩვენი შუამდგომლობების საფუძველზე ჩამოწერილმა თანხამ 2 412 898 ლარი.

2016 წლის ამ დროისათვის არსებული მონაცემებით, მომხმარებელთა სასარგებლოდ ჩამოწერილი თანხის ჯამი 3 804 526 ლარია.

მომავალი წლიდან ენერგომბუდსმენი განახლებული გეგმით შეუდგება სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების და მიზნების განხორციელებას და მომხმარებლების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.